# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №46
## 2017 წლის 21 დეკემბერი

### დაბა ჩოხატაური

**,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1**

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 06/02/2017, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.114.016327) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების დანართის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ” ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

კ) მერიასთან და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და სხვა მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან საკრებულოს ურთიერთობების ორგანიზება;“.

2. დადგენილების დანართის მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის პირველი პუნქტის ,,ლ$^{1}$“ ქვეპუნქტი:

„ლ$^{1}$) საკრებულოს სხდომების დღის წესრიგის თაობაზე დაინტერესებულ პირებთან ინფორმაციის გაგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინებისა ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით საკრებულოს სხდომამდე 2 დღით ადრე.“

3.დადგენილების დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 7$^{1}$ მუხლი:

**მუხლი 7$^{1}$**

1. საკრებულოს აპარატის ყველა იერარქიული რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელის შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ ,,პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული მოხელის შეფასების წესის შესაბამისად.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** **ზაალ მამალაძე**